ქ. თბილისი ___ 2011 წელი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტსა და
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტიბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, ერმილე მესხიას სახით და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, გიგი თევზაძის სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანი

1.1 წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშუალებით ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო დონის ამაღლება საშემსრულებლო ხელოვნებისა და სახელოვნებო მეცნიერებათა მიმართულებების მხრივ, კვალიფიკაციების დახვეწა ევროპული სტანდარტების მიხედვით და ახალი კვალიფიკაციების დანერგვა.

2. მემორანდუმის საგანი

2.1 მემორანდუმის საგანია თანამშრომლობის გაღრმავება სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისა და აკადემიური დონის ამაღლების მიზნით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მხარეები თანხმდებიან, განახორციელონ შემდეგი აქტივობები:

3.1.1 უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორებისა და დოქტორანტების ინტენსიური ჩართვა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ამაღლების მიზნით;

3.1.2 ერთობლივი მუშაობა სილაბუსების დასახვეწად;

3.1.3 ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციებისა და პუბლიკაციების მომზადება;

3.1.4 კრედიტების გაცვლა;

3.1.5 პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება;

3.1.6 ერთობლივი საერთაშორისო საზაფხულო აკადემიის დაარსება;

3.1.7 თანამედროვე სწავლების ფორმებისა და შინაარსის შესახებ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალისტთა მიერ სემინარების ჩატარება ბათუმში.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1.წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;
4.2.მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მის.: ქ.ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5

ქ. თბილისი 0162, საქართველო.
ტელ: (995 32) 231 026; 294 197
ფაქსი:(995 32) 231 026, 220 009
ელ-ფოსტა: uni@iliauni.edu.ge
ვებ-გვერდი: www.iliauni.edu.ge

რექტორი

გიგი თევზაძე

ბათუმის ხელოვნების სასაწავლო უნივერსიტეტი
მის.: ფიროსმანის ქუჩა №16

ქ. ბათუმი, საქართველო.
ტელ: (995 422) 244 359
ფაქსი:(995 422) 244 359
ელ-ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ-გვერდი: http://www.batu.edu.ge

რექტორი

ერმილე მესხია